

## სტრატეგიული მიზანი 1.

### ხარისხიანი სწავლების უზრუნველყოფა

- ამოცანა 1.1. სწავლების საჭიროებების გამოვლენისა და ანალიზის პროცესის დახვეწა, სწავლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა;
- ამოცანა 1.2. სასწავლო პროგრამების შედგენა/განახლება;
- ამოცანა 1.3. საგნობრივი სტანდარტის მისაწვდომობა;
- ამოცანა 1.4. თემატურ კალენდარული გეგმების შედგენა/სრულყოფა;
- ამოცანა 1.5. სწავლა სწავლების მეთოდოლოგიის დახვეწა;
- ამოცანა 1.6. დისტანციური სწავლების ხელმისაწვდომობა;
- ამოცანა 1.7. მასწავლებელთა შერჩევის პროცესის დახვეწა - შესარჩევი კრიტერიუმების განახლება;
- ამოცანა 1.8. სწავლების ხარისხის შიდასაბის პროცესის დახვეწა.

## სტრატეგიული მიზანი 2.

### ორგანიზაციული განვითარება

- ამოცანა 2.1. ორგანიზაციული სტრუქტურის განახლება - თანამდებობრივი სამუშაო აღწერილობის დახვეწა;
- ამოცანა 2.2. ორგანიზაციული პროცესებისა და პროცედურების აღწერა;
- ამოცანა 2.3. ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაძლიერება - პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა;
- ამოცანა 2.4. თანამშრომლობითი ურთიერთობის გაფართოება;
- ამოცანა 2.5. მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის სრულყოფა.

## სტრატეგიული მიზანი 3.

### შიდა და გარე კომუნიკაციის განვითარება

- ამოცანა 3.1. საკომუნიკაციო საშუალებების სრულყოფა;
- ამოცანა 3.2. კომუნიკაციების მექანიზმების განვითარება;
- ამოცანა 3.3. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საზოგადოებისათვის და დაინტერესებული მხარეებისათვის;
- ამოცანა 3.4. დაფინანსების ახალი წყაროების შესაძლებლობის შესწავლა;
- ამოცანა 3.5. ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა დაწყებით და საბაზო საფეხურებზე;
- ამოცანა 3.6. გიმნაზიის საკომუნიკაციო ქსელის გაძლიერება, დისტანციური სწავლების ხელმისაწვდომობა;
- ამოცანა 3.7. გიმნაზიის მისიასთან და ამოცანებთან თავსებადი ადამიანური, ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მუდმივი განვითარება გიმნაზიის საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად.